

მოკლე აღწერა: სტუდენტ სანდრას სურს ინტერვიუს აღება. ამისათვის კი აპარატურა ესაჭიროება, რომელსაც მედიის ლაბორატორიაში ითხოვს. იგი იქვე შეიტყობს, ლაბორატორიას კიდეც რა კომპეტენციები გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ სანდრამ აპარატურა სწორად აარჩია, მისი ინტერვიუ მაინც არ გამოვიდა ისეთი წარმატებული, როგორსაც ელოდა.. ალბათ კარგი იქნებოდა, რომ აპარატურის ინსტრუქციას წინასწარ გაცნობოდა.

სანდრა: ჯანდაბა!.. 100 ევრო ღირს ეს ჩამწერი აპარატურა..! ეს ჩემთვის ძალიან ძვირია... ასე ხშირადაც არ მჭირდება...

ენდი: სანდა? რა მოხდა მთელს სახლში შენი ყვირილი ისმის.

სანდრა: ინტერვიუ უნდა ავიღო ინგლისურად სტუდენტური გაზეთისთვის „eMag“ და ძალიან ვნერვიულობ... ეს მომღერალი ძალიან მაგარია და სიმპათიურადაც გამოიყურება.

ენდი: მშვენიერია მერე.. და პრობლემა რაშია?

სანდრა: ჩამწერი საშუალება მჭირდება, რომელიც ძალიან ძვირიაქ 100 ევრო ღირს. ისინი ელოდებიან ჩემგან, რომ მე გავიღებ ამ ხელსაწყოთვის თანხას???

ენდი: ეს რა პრობლემაა? ეს ხელსაწყოები ხომ შეგიძლია მედიის ლაბორატორიისგან ითხოვო? თანაც უფასოდ

სანდრა: მედიის ლაბორატორია რა არის?

ენდი: პირველ სემესტრზე რას გასწავლიან საერთოდ? მედიის ლაბორატორია მედიისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. იქ შეგიძლია, დიქტოფონი, კამერა და მსგავსი ხელსაწყოები უფასოდ ითხოვო.

სანდრა: და რა უნდა გავაკეთო, ვინმეს უნდა მივწერო ამის თაობაზე?

ენდი: ფრანცისკა პროკუს უნდა მიწერო ი-მეილი. ხელსაწყოების განათხოვრება მას ეხება. ი-მეილის მისამართი შეგიძლია მედიისა და ტექნოლოგიების ვებ-გვერდზე ნახო. და შემდეგ მიწერე კონკრეტულად რომელი ხელსაწყო გჭირდება .

სანდრა: და ასე შეუღია ნებისმიერს ხელსაწყოთხოვება?

ენდი: თუ ეს სასწავლო პროცესს ემსახურება კი... ამიტომ ი-მეილშივე ჩაწერე რისთვის გჭირდება ხელსაწყო.. შენ შემთხვევაში ეს „eMag“ იქნება.

სანდრა: და სად შემიძლია ნივთს მივაკითხო?

ენდი: პირდაპირ მედიის ლაბორატორიაში მიაკითხე. შენობა „დ“ ში რომ შეხვალ მეორე სართულზეა. შესასვლელი ენების ცენტრიდან არის, შემდეგ აუყვები კიბეებს და მარცხნივ მდებარე კარში.

სანდრა: აჰ! მადლობა ენდი. შენ ამით მთელი დღე გადამირჩინე! მე ვფიქრობდი, რომო ყველაფერი თავად უნდა მეყიდა...აბა , მაშინ ახლავე მივწერ ფრანცისკას ი-მეილს.

ვანესა: ვაიმე რა მძიმე ხელსაწყოა...

სანდრა: გამარჯობა ვანესა.. გინდა ტარებაში დაგეხმარო?

ვანესა: კარგი ქინებოდა..შენ სანდრა არ ხარ? ორშაბათის სემინარი ერთად არ გვიტარდება ხოლმე?

სანდრა: კი.. ამდენი მძიმე ყუთი რათ გინდა?

ვანესა: ლექცია გადავიღეთ და ახლა კამერა და შტატივი უკან უნდა წავიღო, მედიის ლაბორატორიაში.

სანდრა: ძალიან კარგი, მეც იქით მოვდივარ. დიქტოფონი მჭირდება ინტერვიუს ასაღებად... და ლექცია რატომ გადაიღეთ?

ვანესა: მე მედიის ლაბორატორიაში დამხმარედ ვარ. ჩვენ ვიღებთ სხვადასხვა ფაკულტეტების ლექციებს. მაგალითად ფსიქოლოგიის ლექცია, სადაც თითქმის ათასამდე სტუდენტი ესწრება. რა თქმა უნდა ყველა ვერ ეტევა აუდიტორიაში და ორი აუდიტორია უკავიათ. ჩვენ კი, ერთი აუდიტორიიდან მეორეში პირდაპირ ჩვენებას ვახორციელებთ. მოგვიანებით კი მთელს ჩანაწერს ინტერნეტში განვათავსებ. თუ ვინმეს სურვილი ექნება, რომ ლექცია კიდევ ერთხელ მოისმინოს.. ჩვენ არა მხოლოდ ლექციებს, არამედ კონცერტებს და ფეხბურთის თამაშებსაც ვიღებთ.

სანდრა: არაჩვეულებრივად ჟღერს. გჭირდებათ კიდევ დამხმარე სტუდენტები?

ვანესა: კი რა თქმა უნდა! ჩვენ ყოველთვის გვჭირდება სტუდენტები. მაგრამ შენ თუ დიდად ამ ყუთების თრევა არ გეხალისება, მაშინ წინასწარ ცოტა გამოცდილება უნდა გქონდეს. მაგალითად შეგიძლია სტუდენტურ ტელევიზიაში „უნივერსიტეტის მზერა“ ითანამშრომლო, ან ვიდეოსემინარები გააკეთო. შემდეგ უკვე მესამე სემესტრიდან კი იმუშავო როგორც ლაბორატორიის დამხმარე სტუდენტი.

სანდრა: ძალიან მაგარია..ამას აუცილებლად ვიზამ...და კამერა, მიკროფონები და სხვა დანარჩენი? ამათ ყველაფერს მედიის ლაბორატორიიდან იღებთ?

ვანესა: კი. ასევე გადაღებული მასალის დამონტაჟებაც მედიის ლაბორატორიაში ხდება. ამავე ლაბორატორიაში ამონტაჟებენ გადაღებულ მასალას უნივერსიტეტის ტელევიზიის თანამშრომლებიც. მხოლოდ სამონტაჟო წინასწარ უნდა დაჯავშნო ფრანცისკა პროკუმთან.

სანდრა: ჯერ ინტერვიუ ჩავწერო. და შემდეგ.. ოჰ! უკვე მოვედით.

ვანესა: კი.. დღეს გაგიმართლა, მე რომ მახლდი თან, რადგან საკუთარი გასაღები მაქვს, სხვა შემთხვევაში აგერ მარჯვნივ დილაკზე ზარი უნდა დარეკო. აქვე, მისაღებში მიიღებ სასურველ ხელსაწყოს. მე უკან უნდა გავიდე სამუშაო მაქვს. გამიხარდა შენი ნახვა. მადლობა ასევე დახმარებისთვის.. კიდევ შევხვდებით.. აბა, დროებით.

სანდრა: შენც ასევე დიდი მადლობა მაგარჯობა.. დიქტოფონი დავარეზერვე და თქვენთან მივიღებ?

მაქსი: კი. ოღონდ ჯერ შენი სახელი უნდა მითხრა.

სანდრა: სანდრა კინდლიხი. შენც დამხმარე სტუდენტად მუშაობ?

მაქსი: კი. მაგრამ არა მხოლოდ ტექნიკის განათხოვრება მეხება, არამედ Digicampus-ის ვებ-გვერდზეც ვზრუნავ.

სანდრა: აჰ! ამას თქვენ აკეთებთ? მე მეგონა კომპიუტერების ცენტრი. აბა მაშინ თქვენი დახმარების გარეშე ჩემს სასწავლო გეგმას ვერც შევადგენდი.

მაქსი: რა პროგლემაა.. ამას სიამოვნებით ვაკეთებთ. ...აგერ თქვენი ხელსაწყო. დამტენი და ყველა დანარჩენი ნაწილი შიგ დევს. იცი ხელსაწყოს გამოიყენება? თუ გინდა მაინც აგიხსნა? სხვათაშორის არსებობს სპეციალური სემინარი, სადაც ხელსაწყოების გამოყენებას ასწავლიან.

სანდრა: არა ეს უკვე ვიცი...და სხვა დანარჩენებიც Digicampus-ის თანამშრომლები არიან?

მაქსი: არა. ისინი სხვა პროექტებს აკეთებენ. მაგრამ ამასში უფრო მეტად ჩვენი მდივანი ნიკოლე შტრაუხი აგიხსნით. ნიკოლე გაქვს დრო?! სტუდენტს აქვს შეკითხვა!

ქ-ნ შტრაუხი: გამარჯობა, მე ნიკოლე შტრაუხი ვარ. აქ როგორც მდივანო 2011 წლის იანვრიდან ვმუშაობ. ჩემი კომპეტენცია ხელსაწყოების სტუდენტებზე განათხოვრებაა. ასევე ჩამწერი სტუდიების გასაღებები და სამონტაჟოებიც მე ემხება და ბიუროს ორგანიზება.

სანდრა: მე გავიგე, რომ თქვენი ბიურო ლექციებს იწერს. მინდოდა გამეგო კიდევ რა პროექტები გაქვთ?

ჰ-ნ შტრაუსი: მედიის ლაბორატორიაში ბევრი სხვადასხვა პროექტებია. ამ წუთას რაც მახსენდება ეს არის პროექტი „ბეგლაიტსშტუდიუ მი“. ეს პროექტი მთელი სწავლის განმავლობაში მიდინარეობს და სოციალურ ანგაჟირებას მოითხოვს. შემდეგ გვაქვს „ბრაუხვიკი“ სადაც გერმანიის ტრადიციები კიდევ უფრო ზუსტად არის ახსნილი. შემდეგი პროექტია „ი-ლიტერაცყ“ „უნივერსიტეტის მზერა“ ან თუნდაც „ვებსქვარე“.

სანდრა: და აპარატურასაც თქვენ გასცემთ არა? კიდევ რა შეიძლება აქ ვინათხოვროთ კამერისა და დიქტოფონის გარდა?

ჰ-ნ შტრაუსი: ჩასაწერი აპარატურის გარდა ასევე, შტატივი, ელემენტი, კაბელი, რომელიც თითოეულ აპარატურას ახლავს, ყურსასმენი.

სანდრა: მაგარია! მე მგონი მთელ ტექნიკას ამიერიდან აქ ვითხოვ ხოლმე. არის რაიმე რასაც აქ ვერ ვითხოვთ?

ჰ-ნ შტრაუსი: ხშირად გვეკითხებიან საჩვენებელ პროექტორსა და ლეპტოპს. რომელთა თხოვებაც კომპიუტერების ცენტრში „ზებრაშია“ შეიძლება. რასაც ასევე ხშირად გვეკითხებიან არის კაბელი ან გასაღები რომელიმე აუდიტორიის ან სემინარის ოთახის. ეს შენობა „დ“-ში ხელსაწყოების ოთახში ინახება.

სანდრა: მე როდის შემიძლია აპარატურის უკან ჩაბარება?

ჰ-ნ შტრაუსი: მედიის ლაბორატორია ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით 10:00-დან 12:00-საათამდეა ღია და შემდეგ 13:00-დან 16:00 საათამდე. არასაღებელი პერიოდში ორშაბათიდან ხუთშაბათამდე 10:00-დან 12:00 საათამდე. ხოლო ტელეფონით შეგიძლიათ 08:30 საათიდან დაგვიკავშირდეთ.

სანდრა: მშვენიერია. მაღლობას გიხდით მთელი ამ ინფორმაციისთვის. ნახვამდის.

სანდრა: გამარჯობა ენდი! ინტერვიუ იცი რა მაგარი იყო? იცი ის რა მაგარი ტიპია და სინამდვილეში კიდევ უფრო მაგარია ვიდრე ფოტოებიდან ჩანს. ძლივს ვახერხებდი კონცენტრირებას..ნახევარზე მეტი ვერ გავიგე რა მითხრა. აპარატურამაც კარგად იმუშავა.

ენდი: მაგარია! ძალიან მიხარია! მოდი აბა მაშინ მოვისმინოთ რა გამოვიდა!

სანდრა: ვა რა ჩუმად ისმის? მოიცა ავუწიო... ვაიმე მაინც არ მესმის!

ენდი: ჩაწერისას ხანდახან ხმის პრობლემა არის, მაგრამ მგონი შენ თვითონ გაქვს ინტერვიუ ხმადაბალზე ჩაწერილი. წინასწარ არ კითხე ხელსაწყო როგორ ფუნქციონირებს?

სანდრა: არა მაგრამ ინსტრუქცია ხომ წავიკითხე?.. ინტერვიუს წინ ძალიან აღელვებული ვიყავი და ალბათ ხმის აწევა დამავიწყდა.. ახლა რა უნდა ვქნა?

ენდი: არაუშავს. ჩანაწერი ხომ შენთვისაა და არა გამოსაქვეყნებლად.. შემდეგისთვის უკვე გეცოდინება, რომ ამას ყურადღება უნდა მიაქციო. ანდაც ბოლოს და ბოლოს შეეკითხები მედიის ლაბორატორიის თანამშრომელს.

ავტორები: იოჰანეს ბაიერი და ტობიას შტაუნერი

Übersetzt von
Natia Tsikelashvili